



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №47

2014 წლის 25 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა, დანართი №1

2. საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

3. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის მესამე კვარტლის

სამუშაო გეგმა

№ რანჟი	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	შესრულებაზე პასუხისმგებელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საკრებულოს კომისებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და კომისიათა პერსონალური შემადგენლობების დამტკიცება	ივლისი 2014 წელი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ი. კობაიძე, საკრებულოს აპარატი	
2	შესწავლილი იქნეს საკითხი- „ახლადარჩეული საკრებულოს წევრების მიერ საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“	აგვისტო 2014 წელი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ი. კობაიძე	
3	მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს ანგარიში „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგების შესახებ“	აგვისტო 2014 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გ. ინაშვილი	
4	შესწავლილი იქნეს საკითხი მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების მდგომარეობის შესახებ და მომზადდეს წინადადებები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	აგვისტო 2014 წელი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ვ. ჭინჭარაული	
5	შესწავლილი იქნეს საკითხი მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების აღრიცხვის მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ და მომზადდეს რეკომენდაციები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად	სექტემბერი 2014 წელი	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია გ. ცოკილაური	
6	შესწავლილი იქნეს საკითხი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის მუშაობის შესახებ და მომზადდეს წინადადებები მის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით	სექტემბერი 2014 წელი	სოციალურ საკითხთა კომისია ს. კაკაბლიშვილი	